ხალგაზრდა ეროელი

1921 წლიდან

9 მაისი ხუთშაბათი 1991 № 53 (11686)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 მაისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარა ბატონები: ირაკლი შენგელაია, ჯემალ მიქელაძე, ვალერიან ადვაძე, ნოდარ ნათაძე. უფრო ადრე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ბატონ ზვიად გამსახურდიას კანდიდატურა.

ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წლის 31 მარტს, მწერლის ოჯახში. დაამთავრა ექსტერნად 47-ე საშუალო სკოლა, ვინაიდან ჯერ კიდევ სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლე დაუპატიმრეს არალეგალური პატრიოტული მოღვაწეობის გამო, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის „გორგასლიანის“ შექმნისა და პროკლამაციების გავრცელების გამო (იხ. საქმე № 457 სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში და განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 1957 წლის 3, 4, 5 აპრილის სხდომისა). 1974 წლიდან მან ღიად შექმნა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი და მერაბ კოსტავასთან ერთად განაგრძო ბრძოლა ეროვნული და ადამიანური უფლებების დაცვისათვის. 1976 წელს მერაბ კოსტავასთან ერთად შექმნა საქართველოში პირველი ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია — საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი (დღეს — ჰელსინკის კავშირი), რომელიც იბრძოდა ქართული ენის, ეკლესიის, კულტურის ძეგლების დასაცავად, იცავდა პატიმართა და დევნილთა უფლებებს, ჰქონდა არალეგალური ოფსეტური გამომცემლობა, უშვებდა არალეგალურ ჟურნალებს—„ოქროს საწმისი“ და „საქართველოს მოამბე“, თანამშრომლობდა მოსკოვის დემოკრატიულ მოძრაობასთან და არალეგალურ ჟურნალ „მიმდინარე ამბების ქრონიკაში“. 1975 წლიდან არის წევრი „საერთაშორისო ამნისტიისა“, საამართალდაცვითი ორგანიზაციისა, რომლის ცენტრიც ლონდონშია.

1977 წელს მთელ საბჭოთა კავშირში დააპატიმრეს ჰელსინკის ჯგუფების წევრები, მათ შორის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომელნიც 1978 წლის მაისში გაასამართლეს. ზვიად გამსახურდია გაათავისუფლეს 1979 წლის ივნისში, რის შემდეგაც მან კვლავ განაგრძო თავისი ოპოზიციური მოღვაწეობა, პატიმართა დაცვა, საინგილოს, აფხაზეთისა და სამცხე-ჯავახეთის ქართველობის დაცვა, მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებისათვის, ხოლო 1983 წელს, თითქმის შინაური პატიმრობის პირობებში, დამხმარე პირთა მეშვეობით, შეძლო გამოეცა ახალი არალეგალური ჟურნალი „საქართველო“, რომლის პირველი ნომერი მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის საიუბილეო ზეიმის მხილებას, ხოლო მეორე ნომერი აპარელ ლტოლვილებს, აზერბაიჯანელთა ექსპანსიას საქართველოში, აგრეთვე მერაბ კოსტავას, რომელსაც იმჟამად გაუგრძელეს პატიმრობის ვადა.

1988 წელს მან უკვე განთავისუფლებულ მერაბ კოსტავასთან ერთად კვლავ განაახლა ინტენსიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა და დაიწყო ახალი არალეგალური ჟურნალის „მატიანეს“ გამოცემა (გამოვიდა ოთხი ნომერი) და რუსულ და ინგლისურენოვანი საინფორმაციო ჟურნალის „ვესტნიკ გრუზიის“ გამოცემა. ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ამ დროს წმინდა ილია მართლის საზოგადოების დაარსებაში, რომლის გამგეობის წევრიც იყო თავიდანვე, ამ დროს იგი იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და მონაწილე საქართველოში გამართული თითქმის ყველა დიდი აქციისა — პერმანენტული შიმშილობა 1988 წლის 11 მარტიდან, რომლის დროსაც მან იშიმშილა 27 დღე, აქციები და მიტინგები დავით გარეჯის გადასარჩენად 1988 წლის 24 თებერვლისა და 1988 წლის 21-22 ხექტემბრისა, აქციები სხვადასხვა საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე 1988 წლის 8 ოქტომბრისა და 12 ნოემბრისა თბილისში, 21 ოქტომბრისა და 20 ნოემბრისა ბათუმში, 28-29 ნოემბრისა თბილისში, 1989 წლის 25 თებერვლისა თბილისში, 1989 წლის 4-9 აპრილისა თბილისში, რისთვისაც იგი დააპატიმრეს მერაბ კოსტავასთან და სხვებთან ერთად, გაატარა ციხეში 40 დღე, შემდეგ გაათავისუფლეს თავდებით და მან კვლავ განაგრძო პოლიტიკური საქმიანობა, კერძოდ მიიღო მონაწილეობა წვევამდელთა აქციების ორგანიზებაში 1989 წლის მაისიდან ოქტომბრამდე, მონაწილეობდა აფხაზეთის, ქვემო-ქართლისა და სამაჩაბლოს კრიზისების რეგულირებაში, აგრეთვე 1990 წლის მიტინგებსა და აქციებში იანვრიდან ოქტომბრამდე. მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საერთოდ კომკავშირის გაუქმება, ლენინის ძეგლების აღება და სხვა მნიშვნელოვანი აქციები. ზვიად გამსახურდია იყო უშუალო ორგანიზატორი თითქმის ყველა საპროტესტო აქციისა, რომელიც ჩატარდა 1990 წლის ზაფხულში, რათა ხელისუფლებას დაენიშნა უზენაესი საბჭოს სესია, მიეღო დემოკრატიული კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ და დაენიშნა არჩევნები. იგი მონაწილეობდა აგრეთვე საკონსულტაციო კომისიის მუშაობაში, რომელმაც შეიმუშავა მეორე კანონპროექტი.

ზვიად გამსახურდიამ 1962 წელს დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ზვიად გამსახურდია არის მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი, მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები ქართულ, ამერიკულ, ინგლისურ, ირლანდიურ ლიტერატურაზე, რუსთველოლოგიის დარგში, თარგმანები ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, რუსული, გერმანული მხატვრული და ფილოსოფიური ლიტერატურის ნიმუშებისა, ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“, ოგავებისა და ზღაპრების კრებული. ზვიად გამსახურდია არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი 1966 წლიდან, ამავე წლიდან იყო მწერალთა კავშირის წევრი. 1977 წლის პირველ აპრილს „ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის“ იგი გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, შემდეგშიც არ იყო არც აღდგენილი და არც რეაბილიტირებული, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის დისიდენტთა უმრავლესობას „პერესტროიკის“ წყალობით მიღებული ჰქონდა რეაბილიტაცია.

1990 წლის 13-15 მარტის ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ ზვიად გამსახურდია აირჩია ეროვნულ ფორუმში, მაგრამ მან იმავე წლის აპრილში სხვებთან ერთად დატოვა ეროვნული ფორუმი, ვინაიდან დარწმუნდა, რომ ფორუმის წევრთა უმრავლესობა არ იყო ერთგული მათ მიერვე დეკლარირებული პრინციპებისა. ამავე დროს იგი გახდა წევრი იმჟამად შექმნილი მრგვალი მაგიდისა, რომლის ორგანიზაციებმაც იგი აირჩიეს სპიკერად.

ზვიად გამსახურდიამ უარი განაცხადა ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობაზე იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც იგი გავიდა ფორუმიდან.

ზვიად გამსახურდია 1990 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტია.

ონში ტყუპი ვაჟი დაიბადა!

ონის რაიონში დღენახევარი არც ვყოფილვართ და ბარე ათჯერ მაინც შეგვეცვალა განწყობილება: ჯერ შევძრწუნდით, შემდეგ აღვშფოთდით (ბუნების თუ ადამიანის დაუნდობლობით), სასოწარკვეთილების წუთებიც გვქონდა (რაღა გვეშველება?) და ბოლოს იქაურების განწყობილება ჩვენც გადმოგვედო, ტკივილიანი უკიდეგანო შვება ვიგრძენით: მთავარია, სიცოცხლე გადარჩა. სხვას ყველაფერს ეშველება.

ქალაქი — ქუჩებში

სწორედ ასეთი დაგვხვდა გუშინდელი კოპწია ონი: ეზოებში, ქუჩის პირებზე, ზოგჯერ პირდაპირ ქუჩებში გაშლილი კარვები (თუმცა, სად არის სამყოფი კარავი), სახელდახელოდ შეკრული ფიცრულებით, კიდევ უფრო პრიმიტიული დროებითი თავშესაფრებითაც...

ვახტანგ მეექვსის ქუჩას მივყვებით, ვერც ამ და ვერც სხვა დანარჩენ ქუჩებზე, ფაქტობრივად, დაუზიანებელ შენობას ვერ ნახავთ. გულმოსაკლავად დუმან ერთიანად დაცლილი, კედელმონგრეული, ჩაქცეული, ჭერგადახდილი სახლები...

პირველი მაინც სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ; კარვებში გადასახლებული ონის რაიონული საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში გვითხრეს: მიწისძვრის შემდეგ რაიონში ტყუპი ვაჟი დაიბადა, სიცოცხლე გრძელდებაო.

სტიქიური შედეგების ლიკვიდაციის საგანგებო შტაბის წინ უამრავი ხალხი შეგროვილა. აქვე იყრის თავს რაიონის ყველა დიდი თუ პატარა პრობლემაც — მოსახლეობისათვის სარეცხი ტაშტების დროულად დარიგებით დაწყებული, სამშენებლო მასალებით ყველანაირი ტექნიკის მომარაგებით დამთავრებული.

შტაბის მანქანით სოფლებში მივდივართ.

ჩორდი, ირი, პიპილეთი...

ონში მისვლამდე ჩვენი ვერტმფრენი სოფელ ჩორდში დაეშვა. თუმცა სადღაა სოფელი... მიწას პირი დაუღია და ბევრი სახლი სახურავამდე ჩაუყლაპავს, ბევრი მიწის ზემოთ დარჩენილა ქვების გროვად, აქა-იქ კიდევ დგას სახლები, მაგრამ როგორც გვითხრეს, მათ მეწყერი ემუქრება განადგურებით. ცრემლგამშრალნი სტოვებენ ჩორდელები ჩორდს, ფუთებში გამოკრულ ბედად გადარჩენილ უკანასკნელ საჩო-საბადებლით მოჰყვებიან ვერტმფრენს ონში, იქიდან კი... ვინ საით... მძიმე საყურებელია, ყელში ბოღმა გაწვება და გახრჩობს.



ვერტმფრენში თავად ჩორდელები გამოგელაპარაკნენ: თეიმურაზ მელაძე უკვე თორმეტი წელია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, დონეცკში მუშაობს. ცოლ-შვილიც იქა ჰყავს, და ახლა რაჭის გასაპირს ჩამოუყვანია ჩორდში. რა უნდა გითხრათო, კი-

(დასასრული მე-7 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1991 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების შესახებ

ამა წლის 6 მაისს ქ. ცხინვალში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს უკანონოდ მოწვეულ სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ე. წ. საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა არის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაგრამ თურმე „ადმინისტრაციულად ექვემდებარება“ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქციას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ცნობილ იქნეს იურიდიული ძალის არმქონე აქტად ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1991 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება.

2. აღნიშნული პროვოკაციული ფაქტის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ხაბჭოს პრეზიდიუმისეული შეფასება ეცნობოს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მ. გორბაჩოვს, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ელცინს და საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნიშანოვს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი

თბილისი. **1991 წლის 7 მაისი.**

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. გორბაჩოვს

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ რ. ნიშანოვს

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ა. წ. 6 მაისს ქ. ცხინვალში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს უკანონოდ მოწვეულ სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა შედის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაგრამ თურმე „ადმინისტრაციულად ექვემდებარება“ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქციას. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ა. წ. 24 აპრილს კონსტრუქციული მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დადგენილებით პარიტეტულ საწყისებზე იქმნება საბჭოთა კავშირის, რსფსრ-ს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დეპუტატთა კომისია შიდა ქართლში მცხოვრები ოსი მოსახლეობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ამ კომისიას ევალება შიდა ქართლში შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოგვარება. გაჩნდა ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და იქ მცხოვრები ოსი მოსახლეობის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დაცვის რეალური პერსპექტივები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ შეიძლება პროვოკაციად არ შევაფასოთ ოსი სეპარატისტების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელთა მიზანია არა მარტო ხელი შეუშალონ დაწყებულ პოლიტიკურ პროცესს, არამედ პრაქტიკულად ჩაშალონ ეს წამოწყება, დაუპირისპირონ ერთმანეთს საქართველოს რესპუბლიკისა და რსფსრ-ს იურისდიქცია ამ რეგიონში.

არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს სესია ჩატარდა ა. ჩეხოევის — საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან — თავმჯდომარეობით. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ა. ჩეხოევი — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი — გადაყენებული იყო თვით ოსი მოსახლეობის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, მას არ ჰქონდა უფლება სათავეში ჩასდგომოდა ოს ექსტრემისტთა ახალ პროვოკაციას, რადგანაც კარგად იცოდა, თუ რა მსჯელობა იყო ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე და რაზე შეთანხმდნენ დეპუტატები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. წ. 7 მაისს თავისი დადგენილებით იურიდიული ძალის არმქონედ ცნო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს რეანიმაციის ცდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მოგმართავთ თქვენ, მიიღოთ სასწრაფო ზომები და ოფიციალურად მხარი დაუჭიროთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, დაგმოთ ოს სეპარატისტთა დესტრუქციული აქტი; წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება საპარლამენტო კომისიის მუშაობა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პერსპექტივა.

დარწმუნებული ვართ, რომ ოსი სეპარატისტები ვერ შეძლებენ შიდა ქართლში მიმდინარე კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოწესრიგების ჩაშლას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

თბილისი. **1991 წლის 7 მაისი.**

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ბ. ელცინს

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ა. წ. 6 მაისს ქ. ცხინვალში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს უკანონოდ მოწვეულ სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა შედის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაგრამ თურმე „ადმინისტრაციულად ექვემდებარება“ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქციას. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ა. წ. 24 აპრილს კონსტრუქციული მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დადგენილებით პარიტეტულ საწყისებზე იქმნება საბჭოთა კავშირის, რსფსრ-ს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დეპუტატთა კომისია შიდა ქართლში მცხოვრები ოსი მოსახლეობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ამ კომისიას ევალება შიდა ქართლში შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოგვარება. გაჩნდა ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და იქ მცხოვრები ოსი მოსახლეობის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დაცვის რეალური პერსპექტივები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ შეიძლება პროვოკაციად არ შევაფასოთ ოსი სეპარატისტების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელთა მიზანია არა მარტო ხელი შეუშალონ დაწყებულ პოლიტიკურ პროცესს, არამედ პრაქტიკულად ჩაშალონ ეს წამოწყება, დაუპირისპირონ ერთმანეთს საქართველოს რესპუბლიკისა და რსფსრ-ს იურისდიქცია ამ რეგიონში.

არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს სესია ჩატარდა ა. ჩეხოევის — საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან — თავმჯდომარეობით. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ა. ჩეხოევი — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი — გადაყენებული იყო თვით ოსი მოსახლეობის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, მას არ ჰქონდა უფლება სათავეში ჩასდგომოდა ოს ექსტრემისტთა ახალ პროვოკაციას, რადგანაც კარგად იცოდა თუ რა მსჯელობა იყო ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე და რაზე შეთანხმდნენ დეპუტატები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. წ. 7 მაისს თავისი დადგენილებით იურიდიული ძალის არმქონედ ცნო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს რეანიმაციის ცდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე ოფიციალურად გაემიჯნებიან ოს ექსტრემისტთა პროვოკაციულ აქტს, რომელიც ყოველად შეუთავსებელია ორ სუვერენულ რესპუბლიკას შორის წამოწყებულ ჭეშმარიტად თანასწორუფლებიან ურთიერთობასთან. ამ აქტის თქვენი მხრიდან რეაგირების გარეშე დატოვება შეფასდება როგორც მისი ფაქტობრივი აღიარება და საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

თბილისი. **1991 წლის 7 მაისი.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

11 მაისს, 11 საათზე სხდომათა დარბაზში (მ. კოსტავას ქ. 77, ადმინისტრაციის კორპუსი) აბიტურიენტთათვის აწყობს

ღია კარის დღე

მათ შეხვდებიან მეთოდური კომისიების ხელმძღვანელები, გასული წლების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები და პასუხს გასცემენ შეკითხვებზე. ამ დღეს აბიტურიენტთათვის იმუშავებს ყველა ფაკულტეტი და კათედრა.

პროგრამაშია ფაკულტეტების, კათედრების, სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიების დათვალიერება, მიღების წესებისა და აბიტურიენტებისათვის წაყენებული მოთხოვნების გაცნობა, შეხვედრები პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტობასთან.

აბიტურიენტებს ვაცნობებთ, რომ რიგ საგნებში ამჟამად ტარდება კონსულტაციები შემდეგი განრიგით:

ინფორმატიკაში — სამშაბათს 16 საათიდან, პარასკევს 13 საათიდან, VI კორპუსში, 313-ე აუდიტორიაში;

ენაში — ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა), 18 საათიდან, VI კორპუსში, VIII სართულზე, საინჟინრო გრაფიკის კათედრის ზაზვის საკონსულტაციო კაბინეტში;

აკვარელი — ორშაბათს 13 საათიდან, პარასკევს 14 საათიდან, I კორპუსში, არქიტექტურის ფაკულტეტზე, 605-ე აუდიტორიაში;

ინგლისურ ენაში — სამშაბათს და ხუთშაბათს 15 საათიდან, III კორპუსში, III სართულზე, 301-ე აუდიტორიაში (ინგლისურ სექტორზე შემსვლელთათვის).

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის

სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც დამთავრეს 8 კლასი, გამოიჩინეს განსაკუთრებული მიდრეკილება ფიზიკისა და მათემატიკის საფუძვლების შესწავლისადმი და წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

სკოლა-ინტერნატში ჩასარიცხ მოსწავლეთა შერჩევა წარმოებს ფიზიკასა და მათემატიკაში გამოცდების შედეგების საფუძველზე.

შემდინარე წელს გამოცდები ტარდება:

ფიზიკაში (წერითი) — 25 ივნისს.

მათემატიკაში (წერითი) — 27 ივნისს.

მათემატიკაში (ზეპირი) — 29 ივნისს.

ფიზიკასა და მათემატიკაში რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეები სკოლა-ინტერნატის შესაბამის კლასებში ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე, უგამოცდოდ.

სკოლა-ინტერნატში ჩარიცხვის მსურველებს შეუძლიათ განცხადება შემოიტანონ სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში 25 ივნისამდე, ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 15-დან 18 საათამდე.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს 8 კლასის დამთავრების, ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობა, სკოლის დახასიათებარეკომენდაცია, სამი ფოტოსურათი (ზ. 3X4), დამოწმებული სკოლის ბეჭდით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში.

ჩვენი მისამართია: 380086. თბილისი — 86. ვაჟა-ფშაველას პრ. № 49. ტელ. 39-15-62.

საქართველოს რესპუბლიკის შსს მილიციის უმაღლესი სკოლა

აცხადებს მსმენელთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დღის და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

სკოლა ამზადებს უმაღლესი იურიდიული განათლების სპეციალისტებს ეროვნული მილიციის ორგანოებისათვის.

სკოლაში მიიღებიან:

დასწრებულ განყოფილებაზე — 30 წლის ასაკამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობიდან, აგრეთვე რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებმაც გაიარეს სამხედრო სამსახური, აქვთ საშუალო განათლება და ჯანმრთელობის მხრივ ვარგისნი არიან შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურისათვის.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ საშუალო ან უმაღლესი განათლება და შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი.

საკონკურსო გამოცდებისათვის აბიტურიენტებს შეარჩევს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემრჩევი კომისია. სკოლაში სწავლის მსურველებმა უნდა მიმართონ შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო განყოფილებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო მილიციის თანამშრომლებმა — თავიანთი სამსახურის უფროსებს პატაკით.

აბიტურიენტები საკონკურსო გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), საქართველოს ისტორიაში (ზეპირი), სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი).

მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.

დასწრებული განყოფილების მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია, ისინი დაკმაყოფილდებიან საერთო საცხოვრებელით, ფორმის ტანსაცმლითა და კვებით, ხოლო შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, რომლებსაც აქვთ არანაკლებ ექვსი თვის სამსახურის სტაჟი, შეუნარჩუნდებათ ყოველთვიური ხელფასი.

სწავლება ქართულ ენაზეა. სწავლის ვადა 5 წელია. სკოლის კურსდამთავრებულები მიიღებენ „იურისტ-სამართლისმცოდნის“ სპეციალისტის დიპლომს, „მილიციის ლეიტენანტის“ წოდებას და განაწილებული იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ და საქალაქო განყოფილებებში (უპირატესად — საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოში (ქ. თბილისი-4, დიდი ხეივნის ქუჩა, № 10, ტელ. 72-72-01) და მილიციის უმაღლესი სკოლის კადრების განყოფილებაში (ქ. თბილისი—119, გლდანის რაიონი, ქერჩის შესახვევი № 1, ტელ. № 67-68-44).

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, მილიციის უმაღლესი სკოლა.

«ეხ! ამერიკა, ამერიკა...»

(კანადა – ამერიკის შთაბეჭდილებები)

ანზორ ერქომაიშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გზაზე ძალიან დიდი თოვლია, ამიტომ ტრასებზე ყოველწუთს დადიან დიდი სატვირთო მანქანები, რომლებიც ასეულ ტონობით წმინდა თეთრ მარილს ჰყრიან, რომ მოძრაობა არ შეფერხდეს. გარდა ამისა, დადიან ავტომანქანები, რომლებიც გზას ძალიან სწრაფად და კარგად ასუფთავებენ თოვლისაგან. მიუხედავად ამისა, დიდი ყინვებისაგან მოძრაობა მაინც ძნელდება. გავიარეთ რამდენიმე ქალაქი. ყველა მათგანის შესასვლელში დიდი აბრაა გამოკრული. აბრას დიდი ასოებით აწერია ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევა



მეხანძრეები ყველაფერს აკეთებდნენ...

ხანძარმა, რომელიც თბილისის ექსპერიმენტული ქირურგიისა და ჰემატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სალაბორატორიო კორპუსს მოედო, პრაქტიკულად გაანადგურა ექვსსართულიანი შენობა. 6 მაისს, 14 საათსა და 07 წუთზე გაჩენილი ხანძარი ჩააქრეს მხოლოდ ერთი საათისა და ორმოცდაცხრა წუთის შემდეგ, თუმცა მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყვანილი იყო 19 სახანძრო მანქანა..

—თვითმხილველთა აზრით, — თქვა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილემ ჯემალ იაშანიძემ, — რამდენიმე წამში ცეცხლში აღმოჩნდა მთელი კორპუსი. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ვცდილობდით ადამიანთა ევაკუაციასა და აალომდებარე ნაგებობების შველას, სადაც ვარვარებდა მინები, სახურავი. სამწუხაროდ, მსხვერპლი თავიდან ვერ ავიცილეთ: დაიღუპა ოთხი ადამიანი.

მიზეზებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. მიმდინარეობს გამოძიება, მუშაობს კომისია ზარალის ღასადგენად. ყურადღებას მივაპყრობ მხოლოდ ერთ საეჭვო გარემოებას. ჩვენთან დიდი ხანია ფიქტიური გამოძახებები არა ყოფილა, მით უმეტეს — სამედიცინო დაწესებულებებიდან. ამჯერად კი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მომხდარი ამბის შესახებ ცნობის მიღებიდან რაშდენიმე წუთში შემოვიდა სიგნალი ხანძრის თაობაზე, რომელიც თითქოს კიდევ ერთ საქალაქო საავადმყოფოში მომხდარიყოს. შეტყობინება, როგორც გაირკვა, ყალბი იყო. ჩვენ კი იძულებული ვიყავით გარკვეულ ხანს დაგვეკარგა ძალები, ვფიქრობ, ესეც უნდა გაირკვეს: ეს უბრალოდ უკბილო ხუმრობაა, თუ რეალურ ხანძართან დროით დამთხვეული ფაქტი? ვის დასჭირდა ეს?

შ. აივაზოვის ფოტო

საინფორმის ფოტოქრონიკა.

ისევ განუზომელი სევდით, ტკივილით გვეწვია მაისი — ისევ დავკარგეთ ერთი ახლობელი, მეგობარი. სწორედ მაისის თოთხმეტში მხოლოდ ოცდახუთისა იქნებოდა მაიკო ხუციშვილი. რამდენს მოველოდით მისგან, მან კი გაზაფხულის შხაპუნა წვიმასავით გადაიარა. ვწუხვართ, გვტკივა, ჭით უფრო, რომ სანუგეშოდ არაფერი დაუტოვებია...

ისლა დაგვრჩენია გითხრათ, შშვიდობით მაიკო! ნათელი იყოს გზა შენი, სასუფეველში მიმავალი.

მეგობრები.

ჭიათურა კვლავ მხნედაა...

იმ დილით მზიანი დღე გამოვიდა, მაგრამ ზვიადი „საშეკარდნოს“ კლდე რაღაც პირმოქუფრული მეჩვენა. გარეგნულად ჭიათურა თითქმის ძველებურად მოჩანს, მხნედ ხმაურობს ქალაქი. მაისის ფერებში ჩაფლულა კოპწია სახლები, და მაინც გულში შიში შემორჩენიათ აქაურებს.

●

ქალაქის პრეფექტურასთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი, საგანგებო შტაბში ვინ რაზე დაობდა და ვინ რაზე. სოფლელები და ქალაქის მოსახლეობაც უპირველესად მაინც კარვებს მოითხოვდნენ. სჭირდებათ პროდუქტი, სჭირდებათ მედიკამენტები, ნავთი..

ქალაქის პრეფექტი დანგრეულ სოფლებში გაჰყოლოდა თბილისიდან ჩამოსულ მაშველთა ჯგუფს. გავესაუბრეთ პრეფექტის მოადგილეს ბატონ ვახტანგ უგულავას: ქალაქში თვალნათლივ არ ჩანს ის უბედურება, რომელიც თავს დაგვატყდა — გვითხრა მან, აქ ბევრი ნაგებობა დაზიანდა. ბევრი საცხოვრებელი სახლიდან მოსახლეობა ევაკუირებულია, გარეგნულად თითქოს შენობა ფეხზე დგას, მაგრამ ფაქტიურად დასანგრევია. დაინგრა სოფლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, მთლიანად, ქალაქში თავისი სოფლებითურთ, ექვსი ათასზე მეტი სახლია დანგრეული, აქედან ნახევარი მიწასთანაა გასწორებული, დანარჩენში კი ცხოვრება აღარ შეიძლება. მოსახლეობა ღია ცის ქვეშ დარჩა, განსაკუთრებით დაზიანდნენ სოფლები: ხრეითი, ზოდი, დარკვეთი, რცხილათი, ხვაშითი, კვახაჯელეთი, ითხვისი, პერევისა... დაინგრა ზოდისა და რცხილათის საშუალო სკოლები, ბუნიკაურის სკოლა-ინტერნატი, სხვადასხვა შენობები და ნაგებობები. ნგრევა იყო სოფლებში: უსახელოში, წირქვალში, შუქრუთში. ქალაქში მწყობრიდან გამოვიდა სატელეფონო ქსელი, აიმღვრა წყალსადენი და წარმოიდგინეთ, ზოგიერთ ადგილას—ბუნებრივი წყალიც, წყალს დაზიანებულ სოფლებში და ქალაქში ცისტერნებით ეზიდებიან, ქალაქში გამორთულია გაზი, ვიდრე არ შემოწმდება მთელი ქსელი და სავენტილაციო არხები, მანამდე მისი ჩართვა სახიფათოა.

მიწისძვრის შედეგად განსაკუთრებით საშიშროება შეიქმნა კლდოვანი ქანების დაცურებისა. მიწისძვრისას ქალაქში 100 ტონაზე მეტი მასივის კლდე ჩამოინგრა. მან მიწასთან გაასწორა ჯაჯანიძეების საცხოვრებელი სახლი. საბედნიეროდ ოჯახში იმ დროს არავინ იყო.

ნად მოეხსნა ორიათას ტონაზე მეტი მასივი, იგი საშიშროებას უქმნის ქალაქს, სასწრაფო გამაგრებას მოითხოვს, აგრეთვე, რუსთაველის ქუჩაზე № 46-50 ბინის პირდაპირ მორღვეული კლდეები.

ორი დღეა ქალაქში მუშაობენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კლდეთა და მძიმე ქანთა გამამაგრებელი სპეციალისტები, თვითანთი ხელსაწყოებით ისინი ადგენენ იმ საშიშ ადგილებს, სადაც მოსალოდნელია კლდეთა ჩამოშლა. მათ გვითხრეს, რომ თუ ამ ქანების გამაგრება არ მოხერხდება, მაშინ საჭიროა ამ ადგილებიდან მოსახლეობის ევაკუაცია და ქანების ძირს ჩამოყრა.



●

პრეფექტურის წინ ისევ ხალხმრავლობა იყო. აქ ახლა უკვე მოსულიყვნენ სხვადასხვა რაიონებიდან მოხმარების გასაწევად ჩამოსული ადამიანები. აქ იდგნენ პროდუქტებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით დატვირთული მანქანები.



ქალაქიდან სოფელ დარკვეთისაკენ გავემგზავრეთ, გზაზე შემოგვხვდა შიგა და შიგ ჩანგრეული სახლები, გადაქცეული მარნები, დანგრეული სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ობიექტები, სტიქიას სოფელ ზოდისაკენ მიმავალ გზაზეც დაუტყვია თავისი კვალი. მიწა შუაზე გაუპია. საზარელი სურათი დაგვხვდა სოფელ ზოდში, ნუგზარ გოდერძი სამხარაძეს. მან თქვა, რომ მიწისძვრის შედეგად ქალაქის შემოგარენში 40 ადგილზე დაშავდა (ნიადაგს დაცილდა) კლდეთა მასივები და საფრთხე ექმნება. ქალაქს. განსაკუთრებით უჭირს სახელგანთქმულ „საშეკარდნოს“ კლდეს, რომელსაც მთლიანად



ბი, ახლა კიდევ რომ გვეგონა, მაღაროთა ნაღმების გრიალი შეწყდაო, ბუნებამაც უმუხთლა აქაურებს.

იმ ღამით მიწისძვრამ ისევ შეგვახსენა თავი. ღამით 4 საათზე ძლიერმა ბიძგმა გამოგვაღვიძა, მთელი ოჯახი დედაბუდიანად გარეთ გავარდა, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

მეორე დღეს ქალაქში უკვე მრავლად იყვნენ ჩამოსული სურსათსანოვაგით დატვირთული ავტომანქანები გორიდან, თბილისიდან, რუსთავიდან, ქარელიდან...

ქალაქს ისევ დაჰყურებდა მაისის მზე.

ოლეგ გველესიანი

სარედაქციო მინაწერი:

მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როცა მოვიდა ცნობა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ქალაქი ჭიათურა გამოაცხადა სტიქიური უბედურების ზონად.

ავტორის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონში ტყუპი ვაჟი დაიბადა!

(დასასრული)

დევ კარგი, უმსხვერპლოდ გადავრჩითო, გასაჭირი ბევრია, მაგრამ მოევლებაო. ახლა მთავარია, ჩვენი სამი სოფელი: ჩორდი, ბაჯიხევი და ფსორი ისევ ერთად სადმე დაგვასახლონო.

სოფელ ირამდე მისასვლელი სამანქანო გზა ახალი გაწმენდილია, თუმცა კვლავ და კვლავ ცვივა ქვა და ღორღი. თბილისშივე გვითხრეს, აღარც ირი არსებობსო. ნანახმა მაინც შეგვაძრწუნა. აი, აქ, ხელს იშვერს მოგრძო ნაფოტების უშველებელი გროვისაკენ ჩვენი მეგზური ალიოშა გოშაძე, ორსართულიანი ხის სახლი იდგა, მეორე სართული მიწისძვრამ გადასხიპა. ზოგი სახლი მაინც დგას და თუ გაბედე და ზღურბლს გადაბიჯებულმა ჭერში აიხედე, ცას დაინახავ...

ირში სიცოცხლეც არ დაინდო მიწისძვრამ. რაიონში დაღუპული 8 კაცდან სამი აქაურია.

მაგრამ სოფელში ცხოვრება მაინც გრძელდება... როგორც საგანგებო შტაბში გვითხრეს, ირის დიდი ნაწილი საცხოვრებლად კვლავ ვარგისია. თუმცა, არც დარჩენილი ნაწილიდან ფიქრობს ვინმე საბოლოოდ აყრას. ის კია არადა, სულმოუთქმელად ელიან ტექნიკას, რომ აქაურობა ნანგრევებისაგან დროზე გაწმინდონ, და ახალი ჭერის აშენებაზე იფიქრონ. ირში ყოფნისას გაგვახსენდა ჩვენი რედაქციის მეგობარი, წარსულში კინომკოდნე და ახლა რაჭას მობრუნებული კოოპერატორი ბონდო გაგნიძე. მისი სახლიც ლამის მიწამდეა დატანილი. გული მოგვეკუმშა ბონდოს ხუმრობანარევი ქადილი რომ გაგვახსენდა: ისეთ სახლს ვაშენებ, სულ მალე ირში საერთაშორისო კინოფესტივალს მოვაწყობო.

პიპილეთშიც ბევრი სახლია დანგრეულ-დაზიანებული, ქარი ფერადი დროშებივით აფრიალებს სახლებზე შერჩენილ ფარდებს. უსიამოვნო ჭრიალი გაუდის მორღვეულ კარ-ფანჯარას.

ერთ სახლთან ვჩერდებით, თუმცა სადღაა სახლი, ერთი ფარღალალა კედელი და მორჩა... ამ კედლის იქით ყანა იწყება, ყანაში კი (გული სიხარულით გვევსება)... ხარები გუთანში შეუბამს ვიღაცას და გულიანად ხნავს მიწას. გამოველაპარაკეთ. მასპინძელმა ვანო მაისურაძემ „შინ“ მიგვიპატიჟა, სახელდახელო სუფრაც გაგვიშალა და მომავალი ჭერიც დაგვალაგინა. ხელოსანი კაცი ვარ, დაზგა გადამირჩა, ქვა-ღორღში იყო ჩამარხული, ორი დღე მოვუნდი მის „გამოთავისუფლებას“. ახლა ისევ მაქვს საქმე, კაცს თუ შრომა გიყვარს, ყველაფერი გექნებაო, დაგაყოლა ბოლოს. ვემშვიდობებით და ახლა სხვა სოფლებისკენ ვიღებთ გეზს.

კომანდელში ხის ჩრდილში რამდენიმე კაცი ჩამომჯდარა, გამოველაპარაკეთ. ცხადია, მიწისძვრაზე ჩამოვარდა სიტყვა. ბევრი რამ გვითხრეს ყურადსაღები. მათი გულისტკივილი, ფაქტობრივად, ყველა სხვა სოფლის განზოგადებული გულისტკივილიცაა — დახმარება და ყურადღება არ გვაკლია, მაგრამ უფრო გონივრულად უნდა ახლა ყველაფერ ამას გადანაწილება. ზოგს რომ სახლი სულ ჩაექცა და სარჩოს გარეშე დარჩა, იმას ჯერ საკვები უნდა მიაწოდო, ვისი სახლი ჯერაც დგას და ლუკმაც მოეძებნება, იქნებ ჯერ სახლის გადარჩენა-შეკეთებაში დახმარებოდნენო...

ერთი უჩვეულო ამბავიც მომხდარა კომანდელში. თითქმის მთლად დაქცეული სახლის ნანგრევებში მოჰყოლია და იქიდან თავადვე გამოუხსნია თავი 104 წლის ნადია ნაკიანს. მეძინა და არაფერი გამიგია, რა მოხდაო, გვითხრა, ისე ცოტა მუხლები დამეჟეჟა და მაწუხებსო — ნადიას საწოლზე მოზრდილი ქვის ნატეხები უნახავთ.

სოფელ წმენდაურს შედარებით ნაკლები ზარალი მიადგა. ბევრი სახლი სულ არ დაზიანებულა. შორიდან ასე მოჩანდა ანზორ რაზმაძის ორსართულიანი ახალთახალი სახლიც. რად გინდა, ჩემო ბატონო, გარედან მტერს უყენებს თვალებს და შიგნით მოყვარეს, სულ დაბზარულ-დახეთქილია, — გვითხრა ანზორმა, — ახლა კომისიას ველოდები და თუ მითხრა, შენი სახლი საცხოვრებლად უვარგისიაო, არ ვიცი რას ვიზამ... რამდენიმე წლის წინათ, ეგერ იქ, ბექობზე შერჩენილ ქვის ნანგრევებისაკენ იშვერს ხელს, დაუესახლე, სახლი მოგიცურდებაო, მითხრეს და... დავშალე და დაბლა ჩამოვედი. ახლა კიდევ ეს მიწისძვრა... ზოგი კაცი ისე გალეკილ ცხოვრებას, ერთ სახლს ვერ დაასრულებს და მე შესამედ როგორ დავესახლოო... მძიმე მოსასმენი იყო, ვერც სანუგეშო სიტყვები მოვძებნეთ და გულდამძიმებულნი დავშორდით მასპინძელს, რომელიც მაინც გულიანად გვეპატიჟებოდა, ერთი ჭიქა ღვინო დამილიეთ, ისე ნუ წახვალთო...

ჰო, მართლა, ღვინოზე გაგვახსენდა, ცოტამ როდი დაიჩივლა ჩვენთან, სახლი სახლად და მიწისძვრამ ჭურებიც რომ დაგვიმტვრია, რაღა ვქნათ, ახლა ხანდახან ღვინუკათი მაინც გავიქარვებდით დარდსაო. ამიტომ იყო ალბათ, აღფრთოვანება რომ ვერ დაფარეთ, როცა ერთი თითქმის ჩაქცეული სახლის პირველ სართულზე, ოთახის შუაგულში უვნებლად გადარჩენილი ღვინის ბოცები დავინახეთ. თუმცა, ეს ისე, გულისგადასაყოლებლად გაგვახსენდა.

„ხეისმური“ კანონზომიერება

სოფელ კვაშხიეთში (აქაც ნაკლებია ზიანი) საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის“ სამმართველოს უბნის უფროსი შალვა წერეთელი ვნახეთ. ცხრა კაცი ვართ ჩამოსული, რაიონის ყველა სოფელი უნდა მოვიაროთ. ჩვენთვის საინტერესოა გეოდინამიური პროცესები, გვინდა გამოვიკვლიოთ, როგორ არის აშენებული თითოეული სახლი, რისი მეოხებით გადაურჩა მიწისძვრას, — გვითხრა მან,—სოფელ კვაშხიეთში მხოლოდ ცეცაძეების უბანს უჭირს, სხვა სოფლებში ბევრად მძიმე მდგომარეობაა. ჩვენ ერთი მიზანიც გვაქვს, ყველა სოფელს რომ მოვიელით და შედეგებს შევაჯამებთ, მთელი ინფორმაცია. აი, რა გვითხრა მან:

— რაიონის 60 სოფლიდან მხოლოდ ოთხი გადარჩა ისე, რომ ახლიდან აშენება არ მოუწევს. ესენია მთის რაჭის სამი სოფელი: გლოლა, ღები, ჭიორა და აგრეთვე უწერა. ამას დუმატეთ ისიც, რომ რაიონული ცენტრიც თავიდან არის ასაშენებელი. მთელი ონი კარვებში ათენებს. საბედნიეროდ, მსხვერპლი ცოტაა. სულ რვა კაცი: თემურ სხიერელი ონელი იყო. სოფელ ღარის მცხოვრები მარიკა მარკოიშვილი ნანგრევებში მოჰყვა, 9 თვის ბავშვი დარჩა. ქმარიც წელიწადი არ არის, ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ირის სკოლის დირექტორის ნოდარ შერაზადიშვილის ამბავი უკვე ყველამ იცის, მეორე დღეს ამოიყვანეს სკოლის ნანგრევებიდან. ირში კიდევ ორი ადამიანი დაიღუპა მეხუთე კლასის მოსწავლე მაია გაგნიძე და მოხუცი ნუცა ჩიხრაძე. ნანგრევებში მოჰყვნენ შქმერელები ვერა გლოველი და ზინა გვიმრაძე და ზვარეთელი ანეტა კირვალიძე. ტრავმირებულია 40 კაცი. აქედან 14 თბილისისა და

მშვიდობით, ხაკა!

ექვს მაისს ონში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძვრა მოხდა. არ ვიცით, რიხტერის შკალაზე ეს რამდენ ბალს შეესაბამება, მაგრამ დამანგრეველი კი აღმოჩნდა... რაიონის პარტიული ორგანიზაციისათვის, რომელმაც თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. ეგეც თქვენი დინჯი და აუჩქარებელი რაჭველები...

საგანგებო შტაბში

სოფლებიდან მობრუნებულებმა ისევ შევიარეთ სტიქიური შედეგების ლიკვიდაციის საგანგებო შტაბში და როგორც იქნა მოვიხელთეთ მისი წევრი ციცინო გობეჯიშვილი, რომელთანაც იყრის თავს მშრომელთა სიცოცხლის რისკის ფასად საგანძური გადარჩა, ამჟამად გამოაქვთ საოჯახო ნივთები, უჩა ჯაფარიძის ტილოები, რომლებიც თვითონ მხატვარმა უსახსოვრა მუზეუმს. ხდება მუზეუმის ევაკუაცია, მაგრამ ჯერ არ ვიცით, სად დაიდებს ბინას.

მიწისძვრის შედეგად ბოლთის მთაზე გაჩნდა ძალიან დიდი ნაპრალი, მეწყერული პროცესები დაიწყო სოფელ ჟამქვაში. მეწყერი წამოვიდა ზედა კალმახელიძეების უბანში და ქვედა კალმახელიძეების უბანში ხის სახლი ხუთი მეტრით გადაადგილა. საჭიროა გეოლოგების დასკვნა, სოფელი ვარგისია თუ არა საცხოვრებლად. ირის ქვედა ნაწილის შესახებ უკვე არის დასკვნა, რომ საცხოვრებლად ვარგისია, ზედას ბედი ჯერჯერობით დაუდგენელია.

ბოლო მონაცემებით რაიონში ჩამოვიდა 30 მაშველი ჯგუფი, რომელთაც ფიზიკური სამუშაოების შესრულება შეუძლიათ. ლენინაკანიდან ჩამოვიდა სამი ჯგუფი, ჩამოიტანეს კარვები, პროდუქტები, ტანსაცმელი და ისე დაურიგეს ხალხს საწყობებში არც შეუტანიათ.

ფულადმა დახმარებამ 14620 მანეთი შეადგინა. ეს იმათ მიერ შეგროვილი თანხაა, ვინც ფული ხელზე მოიტანა... არ მუშაობს რადიოკავანძი, არც ტელევიზია, არ გამოდის გაზეთი, ეს იმიტომ, რომ სინათლე არ იყო, ამ დღეებში რაიონული გაზეთი ალბათ გამოვა. მუშაობა უკვე შეუძლიათ მაღაზიებს, პურის საცხობს, გაზის კანტორას, ბანკს, სასტუმროს, საავადმყოფოს, ონის I საშუალო სკოლის ნახევარიც ვარგისია. სკოლაზე ჩამოვარდა სიტყვა და ვიტყვი, რომ რაიონის 17 სკოლიდან 14 ხელახლაა ასაშენებელი, სამი კი შესაკეთებელი. ელექტროენერგია უკვე აქვთ ლაჩდას, შოუბანს, ყველა სოფელში შეიძლება მისვლა, ქვედის გარდა. იქ მთა ჩამოწვა და გზა გადაკეტა.

ბიძგები კვლავაც არის და საკმაოდ ძლიერიც. 4 მაისს, ღამის პირველ საათზე ხუთბალიანი მიწისძვრა იყო, ჩამოშლილი და დაბზარული სახლები დაიშალა. მეორე იმავე დღეს, დილის 4 საათზე ძლიერი არ ყოფილა, მაგრამ ხანგრძლივი იყო. რაიონში უკვე ჩამოვიდნენ ამერიკელი სეისმოლოგები.

ონელები ძლიერ გაამხნევა რაიონში ბატონ ზვიად გამსახურდიას, ნემო ბურჭულაძის, ბურმან ომანიძის, თენგიზ დიხამინჯიას, თეიმურაზ პაატაშვილისა და სამთავრობო კომისიის სხვა წევრების ჩამოსვლამ. მათ ყველანაირი დახმარება აღგვითქვეს.



კოფენლუდან... ტილ ავერკამდე

ონის ცენტრში, ძველისძველი ვაგონის კედელზე სახელდახელოდ ორი ტელეფონის აპარატია მიმაგრებული. ერთთან ფაშფაშა ქალი დგას და გამალებული ჩასძახის ყურმილში: „კარგად ვართ დაგეხაცვლე, გადავრჩით. საკმელი?.. ყველაფერი გვაქვს, ყველაფერი, ბორჯომის წყალიც კი... თავი იტალიაში მგონია, იტალიაა ალბ, რა, რამდენიმე წუთში ისრაელს დაგალაპარაკებენ, ისეთი ხალხია ჩამოსული...

არ ვიცით, რაღა მაინცდამაინც იტალიას შეადარა ამ ქალბატონმა დღევანდელი ონის რაიონი, მაგრამ დროებით სატელეფონო კავშირი აქ მართლაც კარგად აღუდგენიათ და როგორც საგანგებო შტაბში გვითხრეს, ის საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირის სამმართველოს უფროსის მოადგილის შოთა კოფენლუსა და მისი თანამშრომლების უდიდესი ძალისხმევის შედეგია.

ბატონი შოთა მამით ჩინელი, დედით რაჭველია (ჯაფარიძე), მამაჩემი იმპერატორს გამოქცევია ჩინეთიდან რუსეთში, იქიდან საქართველოში ჩამოსულა და რაჭველების სიძეც გამხდარა. აქამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ გავლით თუ ვყოფილვარ რაჭაში, აი ახლა უბედურებამ ჩამომიყვანა... ყველანაირად ვცდილობთ, ყოფა შეუმსუბუქოთ აქაურებს. მიწისძვრის შედეგად დაზიანებული კავშირების აღდგენის გამოცდილება სომხეთის მიწისძვრის შემდეგ მივიღე. იქაც ჩვენ აღვადგინეთ კავშირები; — გვითხრა ბატონმა შოთამ, — 30 აპრილს დილით უკვე ონში ვიყავით, ჩამოვიტანეთ მასალები, რადიოსადგური, ჩვენს ბრიგადებს ქუთაისელები და სამტრედიელებიც შემოუერთდნენ, იმ დღესვე აღვადგინეთ საჰაერო კავშირი ამბროლაურთან, ამჟამად მოქმედებს ონი-თბილისის და ონი-ქუთაისის ხაზებიც, გავხსენთ რადიოკავშირი თბილისთან. ბიჭები დღედაღამ თავდაუზოგავად მუშაობენ. საჰაერო ხაზები მიწისქვეშა ბიძგების გამო კვლავ გამოდის მწყობრიდან. დღედღეზე მასალებს მივიღებთ და მამაპაპურად აღვადგენთ საჰაერო კავშირს ონთან.

სხვამაც ბევრმა გამოუწოდა ამ დღეებში ონელებს დახმარების ხელი — ოფიციალურად თუ არაოფიციალურად. ჩვენ სამ მათგანს შევხვდით ჩვენი მასპინძლის სიმონ იაშვილის სახლში. ედუარდ მორგოშია, მურმან კვარაცხელია და შალვა დოჩია ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯალიდან ჩამოვიდნენ, უამრავი სურსათ-სანოვაგე ჩამოიტანეს და თავისი ხელით დაურიგეს მოსახლეობას...

●

ონიდან კვლავ ვერტმფრენს გამოვუვეთ. თბილისისკენ კარგა ხანს არ იყო ფრენა და ჩვენც იძულებით შევყოვდით. თუმცა იმ დროს უქმად დაკარგულად მაინც არ ვთვლით. საკუთარი თვალით ვნახეთ მფრინავების მართლაც მუხლჩაუხრელი შრომა. ვერტმფრენები შეუჩერებლად მუშაობდნენ: კარვები, საძილე ტომრები, ბევრი სხვა დახმარება გადაჰქონდათ დაზარალებული სოფლებისათვის, ზოგი სოფლიდან კი (ძირითადად ჩორდიდან) უსახლკაროდ დარჩენილები გადმოჰყავდათ.

ვუყურებდით ვერტმფრენის კიბეებზე ჩამომავალი რაჭველების ნატანჯ სახეებს, გულზე თითო პატარა ფუთაში გამოკრული ტანსაცმელი თუ სხვა ნივთები რომ მეეხუტებინათ და გული გვიკვდებოდა. და აქაც დინჯი რაჭველი მოხუცი კაცის სიტყვა დაგვედო სალბუნად — ჩორდიდან ჩამოვედი, შვილებო, აი, ამის გარდა, ფუთაში გამოკრულ ლოგინსა და ორიოდ ქვაბსა და ჯამზე მიგვითითა, თითქმის არაფერი დამრჩა, მაგრამ არა უშავს, ღმერთი მოწყალეა, გადმოგვხედავსო...

ამინ, ძიაკაცო!

ღმერთი მოწყალეა, ჭეშმარიტად ღმერთმა და რაჭის სალოცავებმა იხსნეს რაჭველი კაცის სიცოცხლე. და ამ სიცოცხლის გაგრძელების გზასაც უთუოდ მიაგნებენ...

გულნარა ბაშარული,
რუსუდან ლებანიძე,
(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი).
ონი-თბილისი

ავტორების ფოტოები.

ბონორარი გადაირიცხება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ფონდში.

ლორეტანი

გვერდს ეხმიანობა „ირგი“, საქველმოქმედო ასოციაცია „ქალთა რაინდები“ და ამავე ასოციაციის ფირმა „ირგი“.

ფირმა **„ბროკერი ამ“** რუსეთის სასაქონლო ნედლეულის ბირჟაზე თქვენთვის შეიძენს:

ა). მეტალები:
1. სუფთა სპილენძი — 9 მან/კგ;
2. სუფთა ალუმინი — 8 მან/კგ;
3. ტიტანი (სისუფთავე 99,6%) — 47500 მან/ტ;
4. ფოლადის არმატურა დიამეტრი 10-14 მმ — 1500 მან/ტ;
5. უჟანგავი ფოლადის ფურცლები 0.7 10X900X3500 — 7800 მან/კგ;
6. სპურავის ფოლადი (შავი) — 3 მან/კგ;
7. ტიტანის მავთული — 35 მან/კგ;
8. ალუმინის მილები — 18000 მან/ტ;
9. მეავგამძლე ფოლადის ფურცლები — 25-28 მან/კგ;
10. ბრინჯაოს ლენტები — 21 მან/კგ.

ბ). ნავთობი:
1. ბენზინი ა-76 — 430 მან/ტ;
2. ბენზინი АИ-92, АИ-93 — 1500 მან/ტ.

გ). ქიმია:
1. ნატრიუმის სულფატი — 41 მან/ტ;
2. გრანულირებული მეორადი პოლისტიროლი — 3700 მან/ტ;
3. სპირტი ეთოლირებული რექტიფიკატი — 23 მან/ლ;
4. უმაღლესი ხარისხის გრანულირებული თეთრი პოლისტიროლი ტომრებში — 19440 მან/ტ;
5. დაბალი წნევის პოლიეთილენი — 15200 მან/ტ;
6. პერლამუტრირებული სინლიყის შემადგენლობა — 250 მან/კგ;
7. მაღალი წნევის გრანულირებული პოლიეთილენი მარკა.108, 158, 176, 178, — 9500 მან/ტ;

დ). ხე-ტყე:
1. მორი (წიწვოვანი) დიამეტრი 25სმ, სიგრძე 4.5 მ — 400 მან/კუბ;
2. მუხის ფიცარი 3 მეტრი და მეტი — 650 მან/კუბ.მ;
3. ცელულოზა — 5000 მან/ტ.

ე). ქაღალდი:
1. ტიპოგრაფიული ქაღალდი №2,65 გრ, 84 სმ, — 10000 მან/ტ;
2. ფინური საწერი ქაღალდი 40 გრ, სიგანე 105 სმ — 9000 მან/ტ;
3. ტიპოგრაფიული ქაღალდი №2 ტინირებული, სიგანე 1.2 მ — 6,50 მან/კგ;
4. ფერადი ბეჭდვის ექსპერიმენტული ოფსეტური ქაღალდი 80 გრ. — 16000 მან/ტ;
5. ოფსეტური ქაღალდი №1, 70 გრ, სიგანე 84 სმ — 10200 მან/ტ.

ვ). საშენი მასალა:
1. ცემენტი М400, М500, — 240 მან/ტ;
2. ხრეში ანტებიტის — 30 მან/კუბ.მ;
3. ბლოკი ფუნდამენტის 880X320X300 მმ — 29 მან/ც;
4. რკინ ბეტონის კონსტრუქციის შენობის კომპლექსი 36X21X5 მეტრი — 500000 მან;
5. მარმარილოს პლიტა 25X300 მმ — 200 მან/კუბ.მ;
6. ტუფის პლიტა სხვადასხვა ფერის 25X300 მმ — 140 მან/კუბ.მ;
7. აგური — 900 მან/ათ.ც;
8. დეკორატიული თაბაშირის პლიტა 600X600/30 მმ — 13 მან/კვ.მეტრი;
9. ფანჯრის კომბინირებული ორმაგი ბლოკი — 400 მან;
10. მხატვრული პარკეტი — 355 მან/კვ.მ.

ზ). ასაწყობი შენობები:
1. ასაწყობი სახლი 4.8X3 — 40000 მან;
2. სფერული ანგარიში დიამეტრი — 24 მ — 130000 მან;
3. სავაჭრო პავილიონი „ტულია“ 30X12X3 — 346000 მან;
4. სავაჭრო კიოსკი 4,5X2:5X2:5 მ წონა 2 ტ. — 18500 მან;
5. მეტალის ასაწყობი შენობა 31X16,8X8,5 — 350000 მან;
6. კოლეჯის კომპლექსი 78 კვ.მ. — 45000 მან;
7. სწრაფად ასაწყობი შენობა 24X43X8 მ — 720000 მან.

თ). კვების პროდუქტები:
1. ვაშლის წვენი 1 ლ. ბანკებში — 8 მან;
2. მზესუმზირის ზეთი — 7 მან/ლ;
3. ქიშმიში — 15 მან/კგ;
4. ხილფაფა წითელი 140 გრ. ქილაში — 41 მან;
5. საირას კონსერვი 220 გრ. — 5,30 მან;
6. ბრინჯი წმინდა — 6,50 მან/კგ;
7. არაბისი — 6,60 მან/კგ;
8. თაფლი ნატურალური — 22 მან/კგ;
9. ფორთოხლის წვენი „სამბა“ 0,5 ლ. პაკეტებში — 6 მან;
10. კარტოფილი (ეკოლოგიური სერტიფიკატით)— 2,20 მან/კგ.

ი). აგეჯი:
1. ორსაწოლიანი სოფა სიგანე 180 სმ — 2200 მან;
2. დივანი და 2 სავარძელი, რბილი — 1500 მან;
3. კედელი — 11200 მან;
4. მეტალის აგეჯი — მაგიდა და 4 სკამი — 360 მან;
5. საგარაკო აგეჯი — 980 მან;
6. გარნიტური კედელი 6 ნივთ. — 3500 მან;
7. სამზარეულოს გარნიტური — 2300 მან;
8. რბილი აგეჯის გარნიტური 5 ნივთი — 5000 მან;
9. საწოლი გარნიტური — 6000 მან;
10. სასავშვო აგეჯის გარნიტური — 5000 მან.

კ). ელექტრო საქონელი:
1. ელექტროშესაწვავი ЖВЗ-750 — 10000 მან;
2. მტვერსასუნთქი „შარფი“ — 5300 მან;
3. მიკროტალღური ღუმელი — 9700 მან;
4. მაცივარი-კარადა — 6500 მან;
5. საკერავი მანქანა ვერიტას-ფამელა — 6500 მან;
6. სარეცხი მანქანა „რიმენი“ — 14000 მან.

ლ). საყოფაცხოვრებო ქიმია:
1. საოჯახო საპონი (სარეცხის) — 4 მან/კგ;
2. სარეცხი საშუალება „ბიმს-1“ — 2000 მან/ტ.

მ). პარფიუმერია:
1. ტუალეტის წყალი „პარიზის კარები“ (საფრ.) — 105 მან;
2. კოსმეტიკური კომპ. (12 ფერი) — 48 მან;
3. ოდეკოლონი „სპორი“ 500 მლ. (საფრ.) — 155 მან.

ნ). ელექტრონიკა და კომპიუტერები:
1. კერტრიჯი „შარფ Z50“ — 1100 მან;
2. მინი სატელეფონო სადგური 15 აბონემენტის — 9000 მან;
3. თანამგზავრის ტელევიზია მისაღები სისტემა 10 არხი — 65000 მანეთი;
4. სათამაშო აპარატი (აშშ) — 95100 მან;
5. რადიოდეტალების კომპლექტი (256 დასახელება) — 62100 მან;
6. აკუსტიკური დეფექტოსკოფი — 5000 მან;
7. კალკულატორი „ხიტიზენი“ — 650 მან;
8. სათამაშო ავტომატი — 12000 მან;
9. კერტრიჯი ქსეროქსის (FC-2) — 3500 მან;
10. კომპიუტერი PC/AT 386/387, VGA, — 90000 მან;
11. კომპიუტერი PC/AT 286/287, VGA, აშშ — 50000 მან;
12. კომპიუტერი PC/AT 286/287, CGA, VGA — 43000 მან;
13. ეგმ „ისკრა 1030-11“ — 7000 მან;
14. დისკეტები DS/HD 1.2 მეგაბიტი — 25 მან;
15. დისკეტები DS/DD — 15 მან;
16. სუპერ AT 386/387 სუპერ VGA — 150000 მან;
17. პრინტერი განიერი ფერადი 24 ნემსი — 17800 მან;
18. ლაზერული პრინტერი — 50000-70000 მან;
19. ფერადი პრინტერი — 360000 მან;
20. ავტოკამერი — 42000 მან;
21. ხელის სკანერი — 9000 მან;
22. თანამგზავრის სატ. ანტენა ამსტრადი — 22800 მან;
23. მოდემი (ა. შ. შ.) — 3500 მან;
24. რეპროდუქტორი 80287 — 5100 მან;
25. „მაუსი“ 3 კლავიშიანი — 1200 მან;
26. კასეტები ვიწრო პრინტერის — 120 მან;
27. მიკროსქემა КР565РУ5 — 4,50 მან;
28. ქსეროქსი „რენკ 1050“ — 380000 მან;
29. ქსეროქსი „კენონი“ FC3 — 29580 მან;
30. ქსეროქსი „პანასონიკი“ — 21000 მან;
31. ქსეროქსი „კენონი“ 1010“ — 62000 მან;
32. ქსეროქსი „კენონი 1215“ — 87000 მან;
33. ქსეროქსი „რენკი 5014“ — 92000 მან;
34. ლაზერული პრინტერის კერტრიჯი — 5000 მან;
35. ტელეფაქსი „კენონი 270“ — 48000 მან;
36. ტელეფაქსი „მიურატი“ — 21500 მან;
37. ტელეფაქსი „ნისსაი“ — 32500 მან;
38. პანფაქსი „ნისსაი“ — 25000 მან;
39. ტელეფონი ავტომოპასუხე „პანასონიკი“ — 8500 მან;
40. ტელეფონი ავტომოპასუხე ორკესტიანი - 9200 მან;
41. რადიოტელეფონი (იაპონია) — 30000 მან;
42. ტელეფონის აპარატი შეხრიერებით (ამერიკა) — 2300 მან;
43. სამაგიდო მინი ტიპოგრაფია — 300000 მან;
44. ტელევიზორი „სტრასპურტი“ 67 სმ. (გერმანია) — 18000 მან;
45. მანქანის მაგნიტოფონი „ფერარი“ — 1500 მან;
46. სტერეოპლეირი — 420 მან;
47. მუსიკალური ცენტრი PF-1000-8000 მან;
48. ვიდეოკასეტა „SVC“ — 62 მან;
49. ვიდეომაგნიტოფონი „ფილიპსი“ (ავსტრია-სსრკ) — 12000 მან.

ო). დაზგები, ხელსაწყოები, ქარხნები:
1. ელექტროსადგური სიმძლავრე, 490 კვტ;
2. კედლის ამოსაყვანი ქვის წარმოების ხაზი — 110000 (რუმინეთი) — 330000 მან;
3. ხე-ტყის დასამუშავებელი სახერხი დაზგა ШО-16-4 — 70000 მანეთი;
4. პლაზმურ-ქიმიური დამუშავების ხელსაწყო — 90000 მან;
5. ფრონტალური მტვირთავი — 65000 მან;
6. აგურის ქარხანა წელიწადში მლნ. ცალი — 1200000 მან;
7. თხელადი პროდუქტების ჩამოსასხმელი და მოსახუფი ხელსაწყო — 350000 მან;
8. სახარატო დაზგა — 87000 მან;
9. ბეტონის ამრევი 750 ლ. (ალეირის) — 40000 მან;
10. რადიაციის დონის საკონტროლო დოზიმეტრი — 27300 მანეთი;
11. ხეტყვის გარეფინტი — 680000 მან;
12. ელექტროშედუღების გამმართველი ВСВУ-400 — 10000 მანეთი;
13. ამწე ორისრიანი 240 ტ (დანია) — 12000000 მან;
14. ასფალტის ქარხანა — 1500000 მან;
15. უწყვეტი მოქმედების კარაქის დასამზადებელი — 35000 მანეთი;
16. პრესი 63 ტონა — 110000 მან;
17. სატუმბავი სადგური „ნეპტუნი“ სიმძლავრით 500-1000 ცხენის ძალა — 300000-400000 მან;
18. ელექტროტუმბი — 8000 მან;
19. ტექ-ბომასხურების სადგური 500 კვ.მ. — 500000 მან;
20. უნივერსალური ხე-ტყის დამამზადებელი დაზგა — 45000 მანეთი;
21. ნაგვის დასაწვავი ღუმელი — 50000 მან;
22. რკინაბეტონის ბლოკის დასამზადებელი მოწყობილობა 180 ც/სთ — 650000 მან.

პ). ავტოტრანსპორტი:
1. მანქანის წინა მინა ვაზ 2101-07 — 990 მან;
2. ფიგულის ძრავის წყლის პომპა — 90 მან;
3. მუხრუჭის სითხე — 15000 მან/ტ;
4. ავტოსარემონტო მოძრავი სახელოსნო — 390000 მან;
5. სამგზავრო კუპირებული ვაგონი (გერმანია) — 465000 მან.
6. სპურავები ვაზ 21011 — 550 მან;
7. სპურავები „ბელაზი“-ს 27 ტონიანი — 4050 მან;
8. ავტომობილი „ერაზი“ 762 — 90000 მან;
9. ავტომობილი „გაზ-66“ — 60000 მან;
10. ავტომობილი „ურალი“ დიზელი — 126000 მან;
11. ავტომობილი „კამაზი 4316“ — 150000 მან;
12. ავტომობილი „ზილ-131“ — 25000 მან;
13. ავტობუსი „იკარუსი-543“ 18 ადგილიანი — 264000 მან;
14. ავტომობილი „ზილ-157“ ნახევრად მისაბმელი — 33000 მანეთი;
15. ავტომობილი „კაზ-4540“ მისაბმელით — 80000 მან.

ჟ). სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ტექნიკა:
1. ელექტრო მინიექსკავატორი — 53000 მან;
2. კოშკურა ამწე 10 ტონა — 450000 მან;
3. კოშკურა ამწე 8 ტონა — 400000 მან;
4. თვითმცლელი ზილ-130 — 70000 მან;
5. ბულდოზერი ბტკ-რკ-2 — 62000 მან;
6. ტრაქტორი ტ-330 — 490000 მან;
7. ექსკავატორი 2621 — 100000 მან;
8. ექსკავატორი ეტრ-208 — 125000 მან;
9. მიღების დამწყობი კგ-502 — 317000 მან;
10. ტრაქტორი კ-701 — 255000 მან;
11. ავტობეტონის მრევი კამაზის ბაზაზე — 250000 მან;
12. ავტოამწე კამაზი 6:3 ტ — 290000 მან;
13. ბელაზი 7523 — 128000 მან;
14. ტრაქტორი ბულდოზერი ტ-330 — 470000 მან;
15. ავტოგრეირი დ-399 — 220000 მან;
16. ხე-ტყის გადამზიდი 6:336 — 150000 მან;
17. ტრაქტორი ტ-330 — 120000 მან.

რ). ტრანსპორტი:
1. ვერტმფრენი მი-8, — 1500000 მან;
2. იახტა სიგრძე 33,5 მ — 270000 მან;
3. კატერი „ვოლგა“ — 20000 მან.

ს). უძრავი ქონება:
1. ფინური სახლები — 600000 მან;
2. გასაბერი ანგარი 4-7:5 მ — 350000 მან;
3. სავაჭრო კარავი 3X2 მ — 11500 მან.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380086, ნუცუბიძის 187ᵃ
ტელ. 31-27-60
მოსკოვი, 105613, იზმაილოვსკოე შოსე 71,
სასტ. „იზმაილოვო“, კორპ. „ვ“ ოთახი 1021,
ტელ: 166-38-55, ფაქსი — 166-44-51

ხალვაშრდა ვერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

ბაზეთი ბამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.